



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მეტრეველი გივი გიორგის ძე

მეტრეველი გივი გიორგის ძე (დ. 23. III. 1943, თბილისი), არქიტექტორი. საქართვე. დამს. არქიტექტორი (1985). სსრკ (1980) და საქართვე. (1989) მინისტრთა საბჭოს პრემიების ლაურეატი. დაამთავრა სპი-ის (ახლანდ. სტუ) სამშ. ფაკ-ტი სპეციალობით არქიტექტურა (1966). იმავე წელს მუშაობა დაიწყო თბილქალაქპროექტში არქიტექტორად. 1973-91 იყო საქქალაქმშენსახპროექტში არქიტ. სახელოსნოს ხელმძღვანელი, 1991-2000 – თბილქალაქპროექტის დირექტორი. ნამუშევრები: ადმ. სახლი (1970; ავტორთა ჯგუფთან ერთად); „საჭაშნიკე“, მალაზია კოსტავას ქუჩაზე თბილისში (1972; რ. კიკნაძეს, ვ. ქურთიშვილსა და თ. მიქაშავიძესთან ერთად); საფეხბურთო კლუბ „დინამოს“ თბილ. საწვრთნელი ბაზა დილოში (1976; ავტორთა ჯგუფთან ერთად); დასასვენებელი სახლი „მზიური“ გაგრაში (1979, ავტორთა ჯგუფთან ერთად, სსრკ მინისტრთა საბჭოს პრემია); 300- ადგილიანი სასტუმრო რუსთავში (1989, ავტორთა ჯგუფთან ერთად, საქართვე. მინისტრთა საბჭოს პრემია); ევანგელურ-ლუთერანული ეკლესია, გერმანული თემის სახლი თბილისში (1997) და სხვ.
